



განხილულია ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 8,  
11.02.2017)

დამტკიცებულია

თჰუ აკადემიური საბჭოს 14.02.2017 №03/გადაწყვეტილებით

თჰუ რექტორის 2017 წლის 14.02. N 28/01 ბრძანებით

*თჰუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის N 01/2019 გადაწყვეტილებით*

*თჰუ რექტორის 2019 წლის 18 იანვრის N16/07 ბრძანებით*

*თჰუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 სექტემბრის N 10/2020 გადაწყვეტილებით*

*მოდიფიცირებულია თჰუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 03 სექტემბრის N 13 გადაწყვეტილებით*

## თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

### ჯანდაცვის ფაკულტეტი

პროგრამის სახელწოდება - ფარმაცია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფარმაციის ბაკალავრი /Bachelor in Pharmacy/

მიმართულება - 09 – ჯანდაცვა

დარგი / სპეციალობა – 0903 ფარმაცია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით - 240 კრედიტი (6000 სთ.).

ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირაა, 1 სემესტრის მანძილზე

სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს

სწავლების ენა - ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი მანანა ორჯონიკიძე, აფილირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე

თბილისი

2021

## 1. სფეროს აღწერა

თანამედროვე სამყაროში ფარმაცია წარმოადგენს ჯანდაცვის მიმართულების მნიშვნელოვან დარგს, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება. როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული ფარმაცევტული ბაზარი მრავალრიცხოვანი სამკურნალო საშუალებებითაა წარმოდგენილი. კვალიფიციური სამედიცინო დახმარება წარმოუდგენელია შესაბამისი ფარმაცევტული დახმარებისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის გარეშე, რაც თავისთავად კვალიფიციური ფარმაცევტული კადრების მოთხოვნილებას ზრდის. წამალი განსაკუთრებული პროდუქტია, რომელიც მხოლოდ სპეციალისტის ხელშია ეფექტური და უვნებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას.

კვალიფიციური ფარმაცევტი აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ფარმაციაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღება, არამედ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების/დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

ფარმაცევტი უნდა იყოს ერუდირებული, მაღალ დონეზე ფლობდეს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამა ორიენტირებულია „ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ შემოთავაზებულ სტანდარტებზე და შესაბამისობაშია საერთაშორისო სასწავლო პროგრამებთან. ამასთან ერთად გათვალისწინებულია საქართველოს ფარმაცევტული სკოლის მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება საბაზო თეორიული ცოდნა ფარმაციის ძირითად დარგებში და შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, ექნება კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევები, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

სტუდენტები სპეციალობას ეცნობიან და იღებენ პრაქტიკულ უნარებს, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებსა უნივერსიტეტთან აფილირებულ დაწესებულებებში (კლინიკა, აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო და სხვ.).

## 2. პროგრამის მიზანი

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს კვალიფიციური, ფარმაციის დარგში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების, ძირითადი საერთაშორისო სამედიცინო-ფარმაცევტული სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, მქონე პირი, რომლის ამოცანაა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე ქართული ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო სამკურნალო

საშუალებებით და გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

- მოამზადოს კეთილსინდისიერი ფარმაცევტი, რომელსაც საგანმანათლებლო საფეხურის დასრულების შემდეგ ეცოდინება საბაზისო ბიოსამედიცინო, დარგობრივი და სოციალური მეცნიერებები; შეიძენს პროფესიულ უნარებს; ასევე გადაწყვეტილების მიღების უნარებს; შეისწავლის სამედიცინო და ფარმაცევტული ეთიკის საკითხებს.

- კურსდამთავრებულებს მისცეს ფართო ცოდნა ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, გადამუშავების, მზა წამალთფორმების მომზადების, ფარმაცევტული ანალიზის, ხარისხის კონტროლის, სტანდარტიზაციის, რაციონალური ფარმაკოთერაპიის, ფარმაცევტული დაწესებულებების და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპების, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკულად განხორციელების ხერხებზე, მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

- ხელი შეუწყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

### **პროგრამის ამოცანები:**

- პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი საბაზისო და პროფილური ცოდნის მიცემა;
- ფარმაციის საგანმანათლებლო საფუძვლების ცოდნის და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარის შექმნა.
- პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისება;
- პაციენტთან, მომხმარებლებთან და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარის ფლობა;

### **3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბროს: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და ერთ-ერთი უცხოური ენა. არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტს შეუძლია ჩააბაროს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი არჩევითი საგნები: ბიოლოგია/ან და ქიმია.

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანებით დადგენილი წესისა და სასწავლო უნივერსიტეტის გადმოყვანის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა შესაბამისად.

#### 4. პროგრამის სწავლის შედეგები

ფარმაციის ბაკალავრის მომზადება უზრუნველყოფს რიგი კომპეტენციების ფორმირებას:

აკადემიური კომპეტენციები, რომელიც მოიცავს ნასწავლი დისციპლინების ცოდნასა და გაცნობიერებას და სწავლის უნარს;

სოციალურ-პიროვნული კომპეტენციები, რომელიც მოიცავს კულტურასა და ღირებულებებზე ორიენტაციას, საზოგადოების და ქვეყნის იდეოლოგიური, ზნეობრივი ღირებულებების ცოდნას; დეონტოლოგიის უნარების გამოყენებას, ბიოსამედიცინო ეთიკის ნორმების ცოდნასა და დაცვას.

პროფესიული კომპეტენციები, რომელიც მოიცავს ცოდნისა და უნარების ერთობლიობას პრობლემების, ამოცანების გადაჭრაში, გეგმების შემუშავებაში და მათ შესრულების უზრუნველყოფას არჩეულ სფეროსა და პროფესიულ საქმიანობაში.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის თანახმად, „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, პროგრამის მიზნებიდან და უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს მიღწეული ექნება ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი საფეხურის დონე, რაც მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს:

**ცოდნა და გაცნობიერება** - პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფარმაციის დარგის შესაბამისი ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

**იგის:** ადამიანის ორგანიზმის, მისი ცალკეული ნაწილების, ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფორმა, აგებულება და ფუნქციები. უჯრედთა და ქსოვილთა წარმოქმნა, მათი სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია, სასიცოცხლო პროცესების მოლეკულური მექანიზმები, ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ნორმალური და ათოლოგიური პროცესების დროს; ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთთა ძირითადი კლასების შედგენლობა, ნაერთების ცვლა, პათოლოგიური პროცესები; სამკურნალო ნივთიერებების მოქმედების მოლეკულური მექანიზმები, ორგანიზმში შეყვანის გზები. შხამიანი და ძლიერმოქმედი მედიკამენტების დიფერენცირების პრინციპები, გვერდითი და ტოქსიკური ეფექტების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილება; ფარმაკოკინეტიკურ და ფარმაკოდინამიკურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების თავისებურებები, პაციენტთა კატეგორიების მკურნალობის სპეციფიკა. სამკურნალო პრეპარატების კომბინირება, თავსებადობა და მკურნალობის პროცესში ანტაგონიზმის და სინერგიზმის სახეების გათვალისწინება; ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით პრეპარატების კლასიფიკაცია, მედიკამენტების დანიშვნის ჩვენებები, უკუჩვენებები, გვერდითი ეფექტები და დოზირების სქემები. ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების ქიმიური აღნაგობა, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების, სტანდარტიზაციის, ანალიზის და გამოყენების თავისებურებები; მიკროსმყაროს (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თავისებურებები და ამ მიკროსმყაროს ურთიერთქმედება ადამიანთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძვლები; ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები; ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის, მათი დამზადების, გადამუშავებისა და ანალიზის ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლები; ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის მეთოდები და გამოყენებული აპარატურამანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები; ბიოტექნოლოგიის ზოდადი საფუძვლები; მათემატიკის ძირითადი საბაზო საკითხები.

**აცნობიერებს:** ორგანიზმის ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და პათოლოგიურ პროცესებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა როლს და დანიშნულებას ცოცხალ სისტემებში; ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შენახვის. ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციის მიღების აუცილებლობას აფთიაქისა და ფარმაცევტული საწარმოს პირობებში; ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის ანალიზის, სტანდარტიზაციისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის მნიშვნელობას; ფარმაცევტულ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას. ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, მართვის პრინციპებს, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს.

აქვსსწავარმაციის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს-ასპექტს.

## უნარები

- იყენებს დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს
- რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის განახორციელებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- აგროვებს და განმარტავს ფარმაციისთვის დამახასიათებელი
- ახდენს აგნეციურ მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; აყალიბებს სათანადო დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს.
- ახდენს კომუნიკაციას გამოყენებით. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ.

სტანდარტული მეთოდების გამოყენებით ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; აპარატურა დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლუატაცია; რაციონალური ფარმაცოთერაპიის განსაზღვრა; გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; მოახდინოს წამალთა დიფერენციალი ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით, დანიშვნის ჩვენებების, გვერდითი ეფექტების და უკუჩვენებების მიხედვით; გამოიყენოს წამლები და სხვა თერაპიული საშუალებები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით; სწორად გაატაროს პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებები განსაკუთრებით პანდემიების და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს; საერთაშორისო, სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენება; წინასწარ განსაზღვრული მითითებებით ფარმაცევტული პროდუქციის სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისიანობის ვადების დადგენა; წინასწარ განსაზღვრული მითითებებით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში, ანალიზში და სოციალურ ფარმაციაში.

## პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

### სტუდენტი;

- არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში წარმართავს, გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და განახორციელებს კომპლექსურ, განვითარებაზე ორიენტირებული საკუთარი საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.
  - გეგმავს და ხელს უწყობს საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარების დანხორციელებას
  - ადგენს და განახორციელებს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით
- იყენებს და აფასებს** ფარმაცევტისთვის საჭირო პროფესიულ პასუხისმგებლობებს

გააზრებული აქვს უწყვეტი პროფესიული განათლების მნიშვნელობა და აუცილებლობას პროფესიულ პრაქტიკაში.

## 5. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ფარმაციის პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც უნივერსალური და აპრობირებული სწავლების მეთოდები, ისე სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ამ მიმართულებით და მათი დახმარებით სტუდენტს უმუშავდება ამ სფეროსათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, კერძოდ:

**ლექცია** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობის** დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

**პრაქტიკული მეცადინეობის** დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

**ლაბორატორიული მეცადინეობა** უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

**სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღედრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

**საწარმოო პრაქტიკა** არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეემდოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

**სწავლებისას** გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები, როგორიცაა:

- **ვერბალური და წერიტი მუშაობის მეთოდები;**
- **წიგნის დამუშავების მეთოდი;**
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უნვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.



- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
  - ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
  - გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს
- **პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელდება ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
- **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

**მცირე ჯგუფებში მუშაობა (team work)**, როდესაც სტუდენტი ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, არჩევს კონკრეტულ ბიზნეს-სიტუაციებს, ამზადებენ ჯგუფურ პროექტებს და მონაწილეობენ საქმიან თამაშებში; ასეთი სახის სამუშაო უზურუნველყოფს როლური ქცევის ათვისებას, ასწავლის ეფექტურ კომუნიკაციას, გამოცდილების გაზიარებას, ანვითარებს ლიდერის თვისებებს.

**საქმანი თამაშები (business game)** ატარებენ კომპლექსურ ხასიათს და ტარდება უცხოური პრაქტიკის გაზიარებით, რაც ხელს უწყობს შესასწავლი სპეციალური საგნების სიღრმისეულ აღქმასა და ეფექტურ განმტკიცებას/ათვისებას.

**ვიდეო მასალების ჩვენება.**

ბ)ინგლისური, გერმანული ან რუსული ენის სწავლებისას ხდება **უცხო ენის სწავლების აპრობირებული და ეფექტური მეთოდების** გამოყენება:

- **გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar Translation Method)**, რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.
- **აუდიოლინგვისტური მეთოდი (Audio-lingual method)**-რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტები ისმენენ და იმეორებენ მასწავლებლის მიერ არაერთხელ განმეორებულ ჩანაწერებს.
- **სიტუაციური სწავლება-ზეპირი მიდგომა (Situational language teaching (Oral Approach)**. სტუდენტი განმეორების გზით იმახსოვრებს ყველაზე გამოყენებად სიტყვებს და ენობრივ კონსტრუქციებს, აქვე ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში. ძირითადი იდეები: ზეპირი მეტყველება დომინირებს წერით მეტყველებაზე, შეცდომების თავიდან აცილება ხდება თავიდანვე, ანალოგიების გამოყენება, სიტყვები იძენენ აზრობრივ დატვირთვას მხოლოდ კონტექსტში.
- **აუდიო-ვიზუალური მეთოდი-გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა.** ლექცია/პრაქტიკულ მეცადონებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

- **სწავლა სწავლებით** (Learning by teaching (LdL) — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი. გარდა ამისა, სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები:
  - ინტერაქტიური ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა
  - ვირტუალურ გარემოში სწავლება
  - სასწავლო როლური და საქმიანი თამაშები
  - კლინიკური შემთხვევები
  - ლაბორატორიული სწავლება ან ლაბორატორიული პრაქტიკუმი;
  - პრეზენტაციები
  - პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირება და სხვ.

## 6. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

**ფარმაციის** საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 სასწავლო წელიწადია, 8 სემესტრი. პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს 240 ECTS და ენიჭება ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 1 შუალედურ გამოცდას, რომელიც ტარდება **მე-8 კვირას**. ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 40 კვირას, 1 სემესტრის განმავლობაში - **20 კვირას**, რომელშიც მოიაზრება **15 სასწავლო კვირა** (სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების პერიოდი) და **5 კვირა** საგამოცდო: **VIII კვირა** - შუალედური გამოცდების კვირეული, **XVII-XX-** დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კვირეული. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის შუალედური და დასკვნითი გამოცდების კვირეული განსხვავდება. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი), ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის წლიური დატვირთვა შეიძლება აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა:

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება მრავალკომპონენტიანი შეფასება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში-**30 ქულა**;

**შუალედური გამოცდა-30 ქულა;**

ხოლო დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი შეადგენს **40 ქულას.**

შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ **11 ქულას.**

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის **50%-ს ანუ 20 ქულას 40 ქულიდან.**

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას**

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

**ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

**ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: (FX) ვერ ჩააბარა -ს მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში და აისახება საგამოცდო ცხრილში.
  2. დამატებით გამოცდაზე მეღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
  3. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები/აქტივობები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
  - საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის და პრაქტიკის შესრულებისა და შეფასება:

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, გაფორმების, შეფასების წესი:

საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი ხასიათის კვლევითი პროექტი, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა და დაიცვას იგი.

ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონისა და კვლევის საფუძვლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. საბაკალავრო ნაშრომის დადებითად დაცვის შემთხვევაში სტუდენტს ექნება კვლევის საფუძვლების ტექნოლოგიების ცოდნა, ინფორმაციის მოძიების უნარი, დასკვნის გამოტანის უნარი, დროის დაგეგმვის უნარი, პრეზენტაციის უნარი ანუ კომუნიკაცია აუდიტორიასთან;

შენიშვნა: სტუდენტისთვის სავალდებულოა ერთ მაპროფილებელ დისციპლინაში საბაკალავრო ნაშრომის მომზადება.

ნაშრომი, შეფასების საერთო სისტემაში, განისაზღვრება შემდეგნაირად:

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

თემის აქტუალობა-10 ქულა

ინფორმაციის მოძიება-10 ქულა

ლიტერატურის ადეკვატურობა-10

ქულა ნაშრომის სტრუქტურა-10

ქულა დასკვნის გაკეთება-20 ქულა

ნაშრომის დაცვა - 40 ქულა

სულ - 100 ქულა

**ნაშრომის ხელმძღვანელი**

ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი მაპროფილებელი საგნის აკადემიური პერსონალიდან.

ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა:

- დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექციაში.

-ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა და გაუწიოს დახმარება ნაშრომის გაფორმებასა და ნაშრომის მოხსენებისათვის თვალსაჩინოების მომზადებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1) ნაშრომის დასათაურებას;

2) ავტორის ვინაობას;

3) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;

4) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;

5) ავტორის შრომისუნარიანობისა და სხვა უნარ-თვისებების ხარისხის აღნიშვნას;

6) ნაშრომის შეფასებას კრიტერიუმების მიხედვით;

7) პირად დასკვნა-რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს დეკანს, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის დაწყებიდან.

### ნაშრომის გაფორმების წესი

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

• თავფურცელი - ნაშრომის პირველი გვერდი;

• ანოტაცია - არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს ნაშრომის

სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას;

• შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში);

• ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება შესრულებული იყოს, როგორც თავებად, ასევე პარაგრაფებად;

• დასკვნა - უნდა ასახავდეს ნაშრომის შედეგებს;

• გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნას ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ

– უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

**პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:**

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;
- გამოცემის წელი;
- ნაშრომის სახელწოდება;
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი);
- ტომის ნომერი;
- გამოცემის ნომერი;
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი.

**წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:**

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;
- გამოცემის წელი;
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი);
- გამოცემის ადგილი;
- გამომცემლობა.

**ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:**

- მასალის ავტორი;
- ვებ-გვერდის ავტორი;
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით;

- ვებ-გვერდის მისამართი;
- მასალის მოძიების თარიღი.

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები);
- წელი;
- სტატიის დასახელება;
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი);
- გამოცემის ნომერი;
- თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში);
- ვებ-გვერდის მისამართი;
- მასალის მოძიების თარიღი.

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება;
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი;
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი;
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი);
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლისმინიშნებით;
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი;
- გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი.

ბ) ტექსტში, გამოყენებული ლიტერატურა, უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ❖ თავფურცელი
- ❖ ანოტაცია
- ❖ სარჩევი



- ❖ შესავალი
- ❖ თავები
- ❖ დასკვნა
- ❖ გამოყენებული ლიტერატურა
- ❖ დანართები

დ) კომისიას უნდა წარედგინოს ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და ნაშრომის ელექტრონული ვერსია ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით;

ე) ნაშრომის დაცვის პროცესში სტუდენტს შეუძლია საილუსტრაციო

საწარმოო პრაქტიკა ზოგადად მიზნად ისახავს: კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საკვალიფიკაციო დახასიათებით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ ჩვევების გაღრმავებასა და განმტკიცებას და პრაქტიკაში მათ გამოყენებას, ასევე პირს აჩვენებს სამუშაო გარემოში ადაპტირებას და უმუშავეს ზოგად კომპეტენციებს.

საწარმოო პრაქტიკის გავლისას სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელ ექსპერიმენტული ხასიათის სამუშაოს, აფორმებს შესრულებულ სამუშაოს, ახდენს მიღებული შედეგების ანალიზს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

## 7. სასწავლო და კლინიკური პრაქტიკის განხორციელების პროცესი და შეფასების კრიტერიუმები

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის გავლა და წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს და პროგრამის განუყოფელ ნაწილს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებათვის. პრაქტიკა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებში/ვირტუალურ აფთიაქში, ისე მის ფარგლებს გარეთ (აფილირებულ ბაზებზე - აფთიაქი, კლინიკა, ფარმაცევტული საწარმო და სხვ.).

## 8. დასაქმების სფერო

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს იმუშაოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებებში. კერძოდ:

- ფარმაცევტულ ბაზებსა და ფარმაცევტულ დაწესებულებებში (საწარმოში, ფარმაცევტულ ბაზებში, ღია და დახურული ტიპის აფთიაქებში,);
- ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებში;
- სასამართლო და ქიმიური ექსპერტიზის, წამლის ხარისხის კონტროლისა და ტოქსიკოლოგიის ლაბორატორიებში;
- სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში (კლინიკა, ჰოსპიტალი და სხვ.);
- ფარმაციის ბაკალავრს - უფლება აქვს დამოუკიდებლად იმუშაოს პროფილურ სასწავლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში; აფთიაქსა და სააფთიაქო ბაზაში პირველად თანამდებობებზე;

## 9. სწავლის გაგრძელების საშუალება

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა და სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

**10. პროგრამის ანალოგი:** ანალოგიური პროგრამები ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვ. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება სწავლების პროცესში სტუდენტთა მობილობა. [/www.tsmu.edu.ge](http://www.tsmu.edu.ge), [www.atsu.edu.ge/](http://www.atsu.edu.ge/), <http://www.bsu.edu.ge/> და სხვ.

### 11. პროგრამის სტრუქტურა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის ფაკულტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაციის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **30 (ECTS) კრედიტი** - საუნივერსიტეტო საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები (ერთ-ერთი უცხო ენა-ინგლისური, რუსული, გერმანული-20 კრედიტი, აკადემიური წერა-5 კრედიტი, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები-5 კრედიტი).
- 199(ECTS) კრედიტი** -ფარმაციის სავალდებულო სასწავლო კურსები
- 6(ECTS) კრედიტი** --ფარმაციის არჩევითი სასწავლო კურსები
- 5(ECTS) კრედიტი**-თავისუფალი სასწავლო კურსი

### 12. „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

„ფარმაციის საბაკალავრო“ საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკოს სპეციალისტთა ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა უმაღლეს დაწესებულებაში დასაქმებული პირების პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად მოწვევის თაობაზე; პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თქუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თქუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, ვირტუალური აფთიაქი, საპროფესორო, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა (EBSCOHost – <http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკი <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2>, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/> და სხვ.

### 13. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის

სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

#### **14. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია**

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაყვანის მიზნით; გარდა ამისა, ჯანდაცვის ფაკულტეტი პროფილურ დისციპლინებს სტუდენტებს სთავაზობს როგორც ქართულ (სწავლების ენა), ისე უცხო (ინგლისურ) ენაზე (მაგალითად, კლინიკური ფარმაცია).

#### **დანართების სახით იხილეთ:**

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა - იხ. დანართი N1, N2, N3;  
პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა - იხ. დანართი N4;